

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ო კ მ ი № 1

**06 სექტემბერი, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)**

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

მამუკა წოწერია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ ქობალია – ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია – ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია – მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია – სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი

ბესიკ ქარდავა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით – ხუთი წევრის
დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ
ერთეულებში შესასრულებელი სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული
ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.






მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
მ. წოწერიას ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ ერთეულებში სხვადასხვა ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2016 წლის 30
აგვისტოს გამოცხადებული არშემდგარი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა (სატენდერო
განცხადების ნომერი SPA160023979) და ხელახალი ტენდერის პროცედურის ჩატარების თაობაზე.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო
წინადადების ფორმები. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1495 ლარით.


კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის
შესაბამისად დამტკიცდეს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ ერთეულებში სხვადასხვა ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე წარმოდგენილი
განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო
დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|---------------|----------------|----|--|-----------|
| 1. |  | მ. წოწერია | (თავმჯდომარე). | 4. |  | ჯ. არდია. |
| 2. |  | თ. ქობალია. | | 5. |  | ლ. დოჩია. |
| 3. |  | რ. კილასონია. | | | | |

კომისიის აპარატის წევრი:

- | | | |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
|----|---|-------------|